ოლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით
ხუთშაბათი, 18 სექტემბერი 1924 წ.
წელიწადი მეოთხე
ფასი 3 კაპ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

წითელი არმიელი

601 1 და 2 ქ. მ. დ. პოლიტ-განების ყოველდღ. გაზეთი
რედაქც. მის. ტფ., ევანგულოვის ქუჩა საველე ელს. 16
განცხადების ფასი პირველ გვერდზე 40 კაპ.—მეოთხეზე 20 კაპ. ჩერვონეც' ნომპარელის სტრიქონი
სამგლოვიარო განცხადება 3 მან. ჩერვ. განცხადებები მორიგ ნომერში მიიღება მხოლოდ 1 საათამდე

რაც შეიძლება მეტი კავშირი სოფელთან.

წინეთ და ეხლა.

წინეთ, ნიკოლოზ მეორის დროს, ყვანდენ თუ არა ჯარში სოფ- ის გლეხს და მუშას, მას კავში- უნდა გაეწყვიტა თავის სოფელ- ნ; ჩამოსცილებოდა ბავშობიდან ჩვეულ წრეს. ეს მოვლენა შემთ- ვეითი როლი იყო. მას განზრახ წინასწარ მოსაზრებით ჩადიოდა კოლოზის მთავრობა.

რატომ?

იმიტომ რომ მაშინდელი მოხე- ები მხოლოდ და მხოლოდ ხალ- ს გაყვლეფაზე ფიქრობდენ. ხალ- ს კეთილ დღეობა მათთვის ჩა- ის ფასადაც არ ღირდა. სწავლა- ნათლებაზე არ ზრუნავდენ. პირი- თ სიბნელესა და შეუგნებლობას წყობდენ ხელს; მათთვის ასე სჯობ- . რაც უცოდინარი და შეუგნე- ლი იყო ხალხი, მით უფრო ად- ლი იყო მისი საწველ-ფურად გა- ქცევა.

თუ გაბედავდა გლეხობა და მუ- ები არსებულ წესწყობილების სა- ნააღმდეგოდ ხმის ამოღებას, მა- ინვე ჯარს მიუსევდენ.

ამისთვის კი საჭირო იყო ხალ- ა და ჯარს შორის იოტისოდენი ავშირი არ ყოფილიყო. ეს საჭი- ო იყო, რომ მეფეს მტარვალობის ახტი შერჩენოდა.

დღეს საქმე სულ სხვა ყაიდაზედ რის მოწყობილი. ოქტომბრის რე- ოლიუციამ ძველი მთავრობა და ველა მისი დანართი ნაცრად აქ- ია. ძალა-უფლება ხალხის ხელშია. ათავეში მუშებისა და გლეხების აჭოებია.

ჩვენი ჯარი შესდგება მუშებისა ა გლეხებისაგან.

ეხლანდელი მთავრობა მოითხოვს ა კიდევაც ატარებს ცხოვრებაში ჭიდრო კავშირს სოფელსა და ითელ ჯარს შორის.

სოფლიდან წამოსულმა გლეხმა ოფელთან არ უნდა გასწყვიტოს ავშირი. გაათავებს სამხედრო სამ- ახურს, იგი კვლავ სოფელს დაუბ- უნდება.

რომ უფრო მეტი საქმის გაკეთება შესძლოს მან უვადო შვებულებაში დაბრუნების შემდეგ, ამისათვის საჭიროა დღესაც მჭიდრო კავშირი იქონიოს სოფელთან.

ეს მოთხოვნილება კარგა ხანია წამოყენებულია ქართულ წითელ ჯარშიაც. იგი შეთვისებული აქვს ჩვენს ნაწილებს და კიდევაც გაყავს ცხოვრებაში.

ამ ზაფხულს, ბანაკად ყოფნის დროს, ბევრი დახმარება გაუწიეს წით. არმიელებმა სოფლის მუშაგლეხობას. ეხმარებოდენ ცელვამკაში, პურნახულის შენახვაში, გზების გაყვანაში, ხიდების გაკეთებაში და სხ.

ჩვენი ნაწილები არასოდეს არ სწყვეტენ სოფელთან კავშირს.

ამის საუცხოვო დამადასტურებელია მე-3 ლეგიონის მიერ სოფლელებთან ერთად სოფელ უფლისციხეში 300 საჟ. გზის გაკეთება.

სამასი საჟენი გზის გაკეთება არც ისე პატარა საქმეა.

გარდა ამისა, ჩვენი ნაწილები არ ივიწყებენ კულტურულ მხარესაც. აარსებენ სამკითხველოებს, უწერენ სოფლელებს გაზეთებს, უკეთებენ მოხსენებებს და სხ.

აი ასე არის დღეს მოწყობილი საქმე ჯარსა და ხალხს შორის.

რატომ?

იმიტომ რომ ამას მოითხოვს თვით ჩვენი მთავრობა, ამას მოითხოვს მუშურ-გლეხური ხელისუფლების სული და გული.

წითელი არმიელი ხორცი ხორცთაგანია და ძვალი ძვალთაგანი მუშებისა და გლეხების. ჩვენ მოვუწოდებთ მათ ურთი-ერთ შორის მჭიდრო კავშირისაკენ.

ეს კავშირი არსებობს.

მაგრამ მას უნდა გამკვიდრება და გაასკეცება.

რაც შეიძლება მეტი კავშირი სოფელთან.

ინგლისის პროლეტარიატი ჩვენთან არის.

ინგლის-საბჭოთა ხელშეკრულების ადებამ დიდი აურ-ზაური გამოიწვია ველა ქვეყნის მდიდრების წრეში. ანსაკუთრებით აზმაურდა ინგლისის აპიტალისტები.

რატომ?

იმიტომ რომ ინგლისის მუშებმა იძულეს მაკდონალდი ხელი მოეწერა ხელშეკრულებაზე.

ინგლისის ბურჟუაზია კი ნაჩვევია ისეთ ხელშეკრულების დადებას როდესაც მოპირდაპირეს სულსაც ამოართმევს და ტყავსაც გააძრობს.

საბჭოთა კავშირისათვის ვერც ერთი და ვერც მეორე ვერავის გაუბედნია.

ჩვენ ხელშეკრულებებს ვსდებთ, როგორც სწორი სწორთან. საბჭოთა კავშირს არა სწამს სხვისი დაჩაგვრა, სხვის ცუდი მდგომარეობით სარგებლობა.

არც თავის საკუთარ თავის დაჩაგვრის ნებას მისცემს ვინმეს ის.

ეს არის სწორეთ რომ ბრაზს გვრის ინგლისის ბურჟუაზიას. რატომ მოაწერა ხელი მაკდონალდმა ისეთ პირობებს, რომელიც საბჭოთა კავშირისათვის სასარგებლოაო.

თუ რატომ მოაწერა ხელი მაკდონალდმა ეს ჩვენ უკვე ვიცით.

არც მას უნდოდა ხელის მოწერა.

ის ხომ მდიდრების ტიკინაა, სათამაშოა! მაგრამ ინგლისის მუშებმა აიძულეს ის ამ ნაბიჯისაკენ.

დღეს ბურჟუაზია კვლავ განაგრძობს დორბლ მორეულ ყეფას. მათ არ სურთ ამ ხელშეკრულების დადასტურება პალატაში.

სამაგიეროდ მუშებიც არ არიან გაჩუმებული. ისინი ძველებურად მოითხოვენ ჩვენთან კავშირს; მოითხოვენ და თან აღნიშნავენ, რომ მეგობრული განწყობილების დამყარება ინგლისსა და საბჭოთა კავშირს შორის საჭიროა, როგორც ერთის, ისე მეორის აღორძინებისათვის.

ინგლისის პროლეტარიატმა აიძულა ნამცხვრების ქარხნის მოზიარე მაკდონალდი მოეწერა ხელი ხელშეკრულებაზე; იგივე პროლეტარიატი აიძულებს მას გაატაროს ის ცხოვრებაში.

ნ.

რადიო-დეპეშები.

იმპერიალისტების მიერ ჩინეთის ინტერვენციის წინ.

ამხ. რადეკის მოხსენება.

16 სექტემბერს ამხ. რადეკმა მოხსენება გააკეთა რკპ-ს მოსკოვის ორგანიზაციის აქტიურ მომუშავეთა კრებაზე.

მოხსენება ეხებოდა იმპერიალისტურ ინტერვენციას ჩინეთში და საერთაშორისო პროლეტარიატის ამოცანებს.

ამხ. რადეკმა აღნიშნა, რომ ინტერვენცია ჩინეთში გამოიწვია საბჭოთა კავშირის ცნობამ, რომლის გარშემო გაჩაღდა ცხარე ბრძოლა.

ჩინეთის შემთხვევებს დიდი პოლიტიკური მნიშვნელობა აქვს. ჩინეთში ინასკვება ახალი მსოფლიო ომის კვანძი. ყოველ შეგნებული პროლეტარის მოვალეობაა თვალყური ადევნოს ჩინეთის ამბებს.

საუბარი სუნ-იატ-სენთან.

კანტონის გაზეთებში დაბეჭდილია საუბარი სუნ-იატ-სენთან „ბოქსერთა“ ომის შესახებ, რომელსაც ხელი მოაწერეს დიდმა სახელმწიფოებმა და ჩინეთმა ბოქსერთა აჯანყების ჩაქრობის შემდეგ. („ბოქსერები“ ეწოდება ჩინეთის აჯანყებულებს უცხოელთა წინააღმდეგ 1901 წ.)

სუნ-იატ-სენმა აღნიშნა, რომ ხსენებულმა ოქმა ჩინეთი კოლონიებზე უფრო ცუდ მდგომარეობაში ჩააყენა.

ამ ოქმა ჩინეთი მოამწყვდია იმპერიალიზმის ბრჭყალებში და წაართვა მას გაერთიანებისა და თვითმართველობის საშუალება.

სუნ-იატ-სენი ამბობს, რომ იმპერიალისტებმა უარი უნდა განაცხადონ ბოქსერთა აჯანყების გამო დადებულ კონტრიბუციაზე. წინააღმდეგ შემთხვევაში ჩინეთი მოიქცევა საბჭოთა კავშირსავით, რომელმაც გვიჩვენა იმის მაგალითი, თუ როგორ თავისუფლდება ერები უცხოელთა დიქტატურისაგან.

იაპონიის პოზიცია.

გაზეთი „შიგაი-ბოგიო“ აღნიშნავს, რომ იაპონიამ უნდა დაიცვას ძლიერი პოზიცია ჩინეთის საქმეებში ჩარევის წინააღმდეგ. ჩინეთის სუვერენული უფლებები და მისი ტერიტორიალური მთლიანობა ხელუხლებელი უნდა დარჩეს.

კანტონის მთავრობა

კანტონის მთავრობის სხდომამ სუნ-იატ-სენის თავმჯდომარეობით მიიღო საყურადღებო გადაწყვეტილება ექსპედიციის შესახებ ჩრდილოეთისაკენ.

მთავრობა გამოაქვეყნებს დეკლარაციას, რომელშიაც აღნიშნულ იქნება ნაციონალური მიზნები და რომლის განხორციელებისკენაც ილტვის სუნ-იატ-სენი.

გომინდანის პარტიის (რევოლიუც. პარტ.) ამოცანები დახასიათებულ იქნება, როგორც ბრძოლა იმპერიალიზმის და შინაურ მილიტარიზმის წინააღმდეგ.

ინტერვენცია მომზადებულია.

კანტონის პრესა აქვეყნებს ტოკიოდან მიღებულ ცნობას, რომ ჩინეთის დაყოფის გეგმა „გავლენის ზონებად“ გათვალისწინებული იყო იუზის ლონდონში ყოფნის დროსო. აქ იუზი პრინციპიალურად დასთანხმდა ინტერვენციის საკითხში, რომლის ფორმულა არის „დაიცვან უცხოელთა ცხოვრება და ქონება“ და საჭიროების დროს არ შეჩერდენ აქტიური გამოსვლების წინააღმდეგ.

შანხაიში.

შანხაიში უცხოელებმა შეჰკრეს ქუჩები, რომლებიც მიდიოდენ ჩინელთა უბნისაკენ. ქუჩებს გაავლეს წვეტებიანი მავთული. ამერიკიდან მივიდა კიდევ ხუთი განმანადგურებელი.

ინგლის-საბჭოთა ხელშეკრულების სასარგებლოთ.

ინგლისის მინისტრის გამოსვლა.

ინგლისის ჯანმრთელობის მინისტრმა უიტლიმ გლაზგოში განაცხადა: საბჭოთა კავშირისათვის სესხის მიცემა გააუმჯობესებს ინგლისის უმუშევართა მდგომარეობას. დარწმუნებულიც რომ ვიყოთ სესხის არ გადახდაში —მაინც უნდა მიეცეს.

ლოიდ-ჯორჯის განცხადება.

თავის სიტყვაში ლოიდ-ჯორჯმა განაცხადა, რომ შეუძლებელია მოინახოს ხელშეკრულების ისეთი კარგი დამცველი, როგორიც უიტლია.

როდესაც უიტლი საბჭოთა კავშირზე გაცემული სესხის დაკარგვაზე ამბობს—ის იჩენს საქმის ნამდვილი მდგომარეობის ცოდნას. მხოლოდ, როდესაც ის ამბობს, რომ სესხის გაცემა მხოლოდ ჩვენი ქვეყნისთვისაა სასარგებლოვო, ეს იმის მომასწავებელია, რომ ის ან არ იცნობს საბჭოთა დელეგაციის ამ საქმის შესახებ განცხადებას, ან და საზოგადოება შეჰყავს შეცდომაში.

იაპონია და საბჭოთა კავშირი.

კამჩატკის ოლქის თავმჯდომ. მოადგილის დეპეშა.

კამჩატკიდან მიღებულ ცნობით, კამჩატკის საგუბ. რევკომის

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავმჯდომარემ ამხ. ლარინმა გაუგზავნა იაპონიის ფლოტილიის სარდალს შემდეგი დეპეშა:

„13 აგვისტოს სოფელ კრუტო გოლოვიდან 4 ვერსის მოშორებით (პეტროპავლოვის მაზრაში) თევზის მცველ დარაჯებმა შეიპყრეს იაპონიის მტაცებელი გემი.

14 აგვისტოს მოვიდა იაპონიის ნაღმოსანი, რომელმაც უნებართვოთ გადმოსხა რუსეთის ნაპირზე რაზმი, 40 კაცისაგან შემდგარი.

მათ ჩამოართვეს რუსეთის მეთევზეებს გემი და დაემუქრენ ძალისუფალთ გაგისწორდებითო.

სასტიკ პროტესტს ვაცხადებთ იაპონიის ნაღმოსანის აღმაშფოთებელი მოქმედების გამო, რომელმაც ასე უხეშად დაარღვია რესპუბლიკის სუვერენული უფლებები. მოვითხოვ გემის საჩქაროდ დაბრუნებასა და დამნაშავეთა დასჯას“.

ინგლისის მუშების ბელად მაკდონალდის წინააღმდეგ.

ინგლისის ტრანსპორტის მუშათა ფედერაციის მდივანმა ვილიამსმა „დეილი გერალდში“ გამოაქვეყნა მკვეთრი პასუხი მაკდონალდის მიმართ, უკანასკნელის მიერ წიგნის („კრიტიკული და კონსტრუქციული სოციალიზმი“) წინასიტყვაობის დაწერის გამო.

ვილიამსი სწერს:

— ჩვენ გაგვაკვირვა მაკდონალდის შენიშვნამ იმის შესახებ, რომ გაფიცვები და უმუშევართა დახმარება ეწინააღმდეგებიან სოციალიზმს.

ჩვენ შევდივართ მაკდონალდის მდგომარეობაში, ჩვენ გვესმის მისი დაბრკოლებები და ამიტომაც მხარს უჭერთ მას, ხშირად კიდევაც ვამართლებთ.

ჩვენ კარგად ვიცით, რომ გაფიცვები და უმუშევართა დახმარება კიდევ არ არის სოციალიზმი, არამედ ის არის მხოლოდ ცდები უთანასწორობის მოსპობისათვის. მაგრამ ამგვარი იერიში პროფკავშირების წინააღმდეგ, რომელსაც მიმართავს მაკდონალდი, ასუსტებს მხოლოდ ჩვენს პოზიციას მეპატრონეებთან მოლაპარაკების დროს.

ინგლისის პროფკავშირებს არ სჩვევიათ და არც აქვთ ხალისი სულელურ დავისა; მაგრამ თუ მის წინააღმდეგ გადავლენ შეტევაზე, ისინი შესძლებენ სათანადო პასუხის გაცემას.

საერთაშორისო კოოპერაციის ყრილობის შედეგები.

საუბარი ამხ. ხინჩუკთან.

ცენტრო-კავშირის თავმჯდომარემ ხინჩუკმა, რომელიც დაბრუნდა საერთაშორისო კოოპერაციის კონგრესიდან, როსტას თანამშრომელთან საუბარში განაცხადა: საბჭოთა კავშირის დელეგაცია გამოვიდა კონგრესზე შემდეგ საკითხებში: კოოპერატივების „ნეიტრალობის“, პროფინტერნთან გაერთიანების, ახალი ომის საფრთხის წინააღმდეგ ბრძოლისა და სხვათა შესახებ.

საბჭოთა დელეგაციის მიმართ დამოკიდებულება ხასიათდება შემდეგი ფაქტით. ამხ. ხინჩუკთან მივიდა ალბერ ტომა და განაცხადა: მე დიდის ინტერესითა და გაკვირვებით ვადევნებ თვალყურს როგორი ენერგიითაც გატყავს თქვენს დელეგაციას თავისი შეხედულება და პოლიტიკა.

მართლაც საბჭოთა დელეგაციის ყოველ გამოსვლაზე მთელი დარბაზი სულგანაბული, დიდის ყურადღებით უსმენდა მათ.

კონგრესზე გადაწყვეტილ იქნა შეიყვანონ აღმასკომში ახალი წევრი. წამოაყენეს კანდიდატურა ამხ. ხინჩუკის და ერთი უნგრელის, რომელიც იცავდა თავის კანდიდატურას იმით, რომ მე არ შემიტანია განხეთქილება კონგრესის რიგებში, როგორც ამას ჩადის საბჭოთა დელეგაციაო.

კენჭის ყრის დროს გავიდა ამხ. ხინჩუკი.

ინგლისის პროფკავშირების კონგრესის გარშემო.

საუბარი ამხ. გორბაჩევთან.

გულეს (ინგლისში) კონგრესზე მყოფ საბჭოთა პროფკავშირთა დელეგაციის წევრმა ამხ. გორბაჩევმა როსტას თანამშრომელთან საუბარში განაცხადა:

არც ერთ დელეგაციას არ შეხვედრიან კონგრესზე ისე მეგობრულად, როგორც საბჭოთა პროფკავშირების დელეგაციას.

დელეგაციის მეორე წევრი ამოსოვი შეეხო მოლაპარაკების მსვლელობას ინგლისის ტრანსპორტელებთან.

ინგლისის და საბჭოთა ტრანსპორტის კავშირთა შორის დამყარებულ იქნა მჭიდრო კავშირი.

საოკუპაციო რაიონში.

ლონდონის შეთანხმების თანახმად დღემდის განთავისუფლებულია საფრანგეთის ხელისუფალთა მიერ 145 გერმანელი. მოელიან კიდევ 100 კაცის განთავისუფლებას.

უნგრეთიც საბჭოთა კავშირის ცნობას აპირებს.

უნგრეთის ლიბერალები ამზადებენ ნიადაგს საზოგადოებაში, დიპლომატიურ ურთიერთობის გასაახლებლად საბჭოთა კავშირთან. მათი გაზეთი „როგგოლო“ აცხადებს, რომ ჟენევაში, ერთა-ლიგაში შემავალ ყველა სახელმწიფოებმა დაადგინეს იცნონ საბჭოთა კავშირის მთავრობა.

გაზეთის აზრით, საბჭოთა კავშირის ცნობა უნგრეთის მიერ მოხდება ახლო მომავალში.

საბჭოთა ფედერაციაში

ფიმენი მოსკოვში.

ედდო ფიმენმა მოხსენება გააკეთა მოსკოვში ტრანსპორტის მუშათა კავშირში, ის შეეხო უცხოეთის ტრანსპორტის მუშების მდგომარეობას, და საერთაშორისო ტრანსპორტის მუშათა გაერთიანებას, რომელიც შეუერთდა ამსტერდამს.

დასავლეთ ევროპის მუშათა 80—90 პროცენტს შეუძლია შეშურდეს საბჭოთა კავშირის მშრომელთა ცხოვრება. მართალია მატერიალური მდგომარეობა საბჭოთა კავშირის მუშათა უფრო დაბლა დგას მაგრამ ეს დროებითია.

სამაგიეროდ საბჭოთა კავშირის მუშები, პირველნი მთელი დედამიწის ზურგზე, ეწევიან თავისი სახელმწიფოს აღმშენებლობას,

მოსკოვის საავტომობილო კლუბის წარმომადგენლებმა აირჩიეს ფიმენი კლუბის წევრად.

„ფორვერტსი“ ფიმენის შესახებ.

„ფორვერტსი“ ეხება ფიმენის განცხადებას ჰამბურგის ტრანსპორტის მუშათა კონგრესზე და აცხადებს, რომ ფიმენი მოსკოვში წავიდა თავისი ინიციატივით. მას არავითარი უფლება არ აქვს მოლაპარაკება აწარმოოს რუსეთის პროფკავშირებთან, რომლებიც სცდილობენ განხეთქილება შეიტანონ პროფმოძრაობაშიო.

გაზეთი სწერს, რომ თუ დაუმტკიცდა ფიმენს ჰამბურგის კონგრესის დადგენილებათა ღალატი, მაშინ დასრულებული იქნება მისი როლი ამსტერდამის ინტერნაციონალში.

პურის ფასები კლებულობს.

სექტემბერში უკრაინაში თანდათან დაიწია ფასებმა პურზე.

ჭვავის ფასი დავიდა 72 კაპიკზე, ხორბალის 1 მ. 40 კაპ. ეს ფასები მაინც დიდია.

პირველ რიგში გადაწყვეტილია პურის ფასების დაწევა ხარხოვში, ოდესაში, ეკატერინოსლავში, არტემოვსკაში, ლუგანსკში და სტალინოში.

ბაზრები ყოველგან უზრუნველყოფილია სახელმწიფო და კოოპერაციის ფქვილით.

ვინ არის მაკდონალდი.

ჩვენ სულ მის ლაპარაკში ვიყავით, რომ მენშევიკები არ არიან რევოლიუციონერი ხალხი, არ არიან ისინი სოციალისტები, ე. ი. არ არიან მუშებისა და ღარიბი გლეხების დამცველნი.

ბევრი გვეთანხმებოდა ამაში, ბევრი იჭვის თვალით უყურებდა და ბევრი სრულიად არ იჯერებდა.

რა საკვირველია კაცია და გუნებაო—იტყვიან; ვისაც რა უნდა ის იფიქროს და ის დაიჯეროს. მხოლოდ ბრმა ნუ რავინ იქნება. ცხოვრება სასტიკი სკოლაა. სიცოცხლე მას შეუძლია, ვინც ავსა და კარგს გაარჩევს. დანარჩენებს თვით ცხოვრება გასწირავს.

მაკდონალდი მენშევიკია, იგი მეორე ინტერნაციონალის ბელადია. და ეს ბელადი ყოფილა ერთი მდიდარი კაცის ამხანაგი ნამცხვრების გაკეთებაში.

ამასთან ერთად უბრალო ამხანაგი კი არა—ბრალიანი.

საიდან სჩანს ეს?

ის იქიდან სჩანს, რომ ეს მდიდარი ფაბრიკის მეპატრონე კაცი იმდენად დავალებული და პატივნაცემი ყოფილა მაკდონალდისაგან, რო ერთი კარგი ავტომობილიც კი უჩუქებია მენშევიკების ბელადისათვის.

ამ მდიდრის ნაჩუქარ ავტომობილში დაქიქინობს არხეინად ინგლისი „მუშურ“ მთავრობის თავმჯდომარ მაკდონალდი.

ასეთი ამბების შემდეგ მას ყოფნის გაბედულობა და უტიფრობ ილაპარაკოს მუშათა კლასზე?!

განა ამაზე შორს უსინიდისობ წავა?!

ამის მერე შეუძლიათ მენშევიკებ სთქვან ჩვენ მუშების პარტია ვართო?

არა და არა. ათასჯერ არა.

პ.

ჩინეთი.

ახალი კაბინეტი.

ვაშინგტონიდან მიღებულ ცნობით ჩინეთის ახალმა პრემიერმა იენმა შეადგინა კაბინეტი, რომელშიაც საგარეო საქმეთა მინისტრის პოსტი დაიკავა ველინგტონ-კუმ. სამხედრო მინისტრად დანიშნულია გენერალ ლიუ-დზანი.

ჩჟან-ცზო-ლინის პროკლამაცია.

უკანასკნელი ცნობების თანახმად ბრძოლა სწარმოებს შანხაიდან 20 მილის მოშორებით.

ჩჟან-ცზო-ლინმა გამოაქვეყნა პროკლამაცია, რომელიც აცხადებს თავის გადაწყვეტილების შესახებ ებრძოლოს პრეზიდენტ ცაო-კუნს.

მან გადასწყვიტა აგრეთვე უმაღლესი სარდლობა ყველა მომქმედ ჯარებისა პრეზიდენტის წინააღმდეგ.

გერმანია.

კაბინეტის სხდომა.

გერმანიის კაბინეტმა დაადგინა საბოლოოდ გადასწყვიტოს ორშაბათის სხდომაზე საკითხები გერმანიის პასუხის მგებლობის შესახებ მსოფლიო ომში და მისი ერთა ლიგაში შესვლაზე.

კანცლერ მარქსთან ახლოს მყოფ გაზეთი „გერმანია“ აღნიშნავს კაბინეტის თანხმობას და ამბობს, რომ ნოტის გამოქვეყნება პასუხისმგებლობის შესახებ ჯერ უდროო არისო.

რეიხსტაგის შემდეგ.

რეიხსტაგი მოწვეულ იქნება 15 ოქტომბერს.

ფიქრობენ, რომ საბოლოო გადაწყვეტილება ომის დამნაშავეთა და გერმანიის ერთა ლიგაში შესვლის შესახებ მიღებულ იქნება მას შემდეგ, როცა ამის შესახებ აზრს გამოსთქვამს რეიხსტაგი.

ევაკუაცია.

ობერჰაუზენისა და რურორტის ევაკუაცია დაიწყება სამშაბათიდან.

ორშაბათს ობერჰაუზენში საფრანგეთის რამოდენიმე მთვრალმა ჯარის კაცებმა ჩაიდინეს მრავალი უწესოება, მრავალ კაფეებში ჩალეწეს ფანჯრები.

დაზარალდა მრავალი მშვიდობიანი მოქალაქე.

გერმანიის პოლიციამ დაიჭირა წესიერების დამრღვევნი და გადასცა ისინი საფრანგეთის სამხედრო ძალებს.

პოლონეთი.

პოლონეთის სოციალისტ. დეკლარაცია

პოლონეთის სოციალისტურმა პარტიამ გამოაცხადა 21 სექტემბრისათვის ანტიმილიტარისტული დემონსტრაცია. ცირკულიარულ წერილში პარტიის ცენტ. კომიტეტი წინადადებას იძლევა გამოვიდენ ამ დღეს ბურჟუაზიის მილიტარისტული პოლიტიკისა და საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ. (?)

ცხადია პოლონეთის სოციალისტური პარტია გადააქცევს ანტიმილიტარისტული პროპაგანდის დღეს —კომპარტიისა და საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ ბრძოლის დღეთ.

რადიო ყოველ მხრიდან

წყალდიდობა ინდოეთში.

ინდოეთის წყალდიდობამ სრულ ად გაანადგურა 20-მდი სოფელი.

თემთა პალატა.

ინგლისის თემთა პალატის სესია გაიხსნება 30სექტემბერს.

ჩვენი წითელი ჯარი

სამხედრო კორესპონდენტო,

მოიწერე შენი ნაწილის ყოფა-ცხოვრებაზე.

ნაწილში ბევრი რამ კეთდება, ბევრი ხდება. სხვაფრივ შეუძლებელია იყოს. ვინც მუშაობს იგი შეცდომებსაც უშვებს. სადაც აკეთებენ რამეს იქ კიდევაც ხდება.

და აი სწორეთ ყოველივე ამას დღის სინამდვილეზე უნდი გამოტანა. კარგს და გლახას მზის სხივი ესაჭიროება.

ჩვენი წითელ-არმიელები კი ასე არ იქცევიან. დიდი უმეტესობა არაფერს იწერება. ვინც იწერება—იწერება მხოლოდ დადებით მხარეებზე. განა უარყოფითი არაფერი ხდება? ეს შეუძლებელია.

ნაწილს აქვს ეტლი, ყავს ცხენები; მით სარგებლობს განსაზღვრული პირნი. განსაზღვრულ საქმისათვის, მაგრამ ხანდისხან ზოგიერთებს შეუჯდებათ ეშმაკი მხარში და წარა-მარა ათარიშებენ სახელმწიფო ცხენებს.

მნე იჩენს გულგრილობას, პური ცხვება ცუდი, სანიტარული საათი არ მიდის სისწორით. და რა ვიცი რამდენ კარგს და გლახა შემთხვევას აქვს ადგილი ნაწილებში. და ყველა წითელ-არმიელის მოვალეობას შეადგენს და მით უფრო სამხედრო კორესპონდენტისას მოიწეროს ამ ამბებზე. სინამდვილეში კი ასე არ არის. ნაკლებ იწერებიან წერილებს.

წითელ-არმიელო! მოიწერე ნაწილის ყოფა-ცხოვრებაზე. დაეხმარე შენს გაზეთს.

ფოსტის გამგე.

პირველ ლეგიონის მეორე ასეულში.

პირველ ლეგიონში შესდგა მეორე ასეულის კომუჯრედის ღია კრება. კრებას დაესწრო ასეულის მთელი შემადგენლობა სადაც გაკეთებული იქნა მოხსენება მენშევიკურ გამოსვლების შესახებ. გამოტანილი იქნა შემდეგი შინაარსის რეზოლიუცია: მოვისმინეთ რა მენშევიკური გამოსვლების შესახებ მოხსენება, ჩვენ პირველი ლეგიონის მეორე ასეულის მთელი შემადგენლობა უცხადებთ მათ ზიზღს მშრომელთა ხელისსუფლების მყუდროების დარღვევისათვის.

საქართველოს მუშებმა და გლეხებმა ერთხელ კიდევ საქვეყნოთ დაამტკიცეს, რომ ერთად ერთი ხელისუფლება, რომელიც თავდადებით იცავს მშრომელთა ინტერესებს ეს არის საბჭოთა ხელისუფლება. მენშევიკები ჩამოსცილდენ მშრომელი ხალხის ინტერესებისათვის ბრძოლას. ისინი საბოლოოდ გადიჩეხენ ბურჟუაზიული და ნაციონალისტური პარტიების გავლენის ქვეშ, ეს კარგად იცოდა მშრომელმა ხალხმა და ამიტომ იყო რომ არ გაყვა მენშევიკების ავანტიურას და პირ იქით ის სასტიკად გაუსწორდა ამ უპასუხისმგებლო ბანდიტებს.

ხსენებული ლეგიონის მეორე ასეულის არმიელები ფიცს ვდებთ მუშურ გლეხური მთავრობის წინაშე, რომ თითეული ჩვენგანი მტკიცედ იდგომება საბჭოთა ხელისუფლების სადარაჯოზე და სასტიკად გაუსწორდებით ყველა საბჭოთა ხელისუფლების მოწინააღმდეგე ელემენტებს.

ჩვენ მოვითხოვთ ყველა ბანდიტების სასტიკად დასჯას.

ზიზღი მუშათა კლასის მტრებს-მენშევიკებს.

პირველ ლეგიონის ტყვიამფრქვევ გუნდის ხმა.

ტყვიამფრქვევ გუნდის საერთო კრებაზე მოსმენილი იქნა ამხ. ჭანეიშვილის მოხსენება მენშევიკების გამოსვლების შესახებ. არმიელების აღშფოთებას საზღვარი არ ქონდა, როდესაც გაეცნენ ბანდიტ ავანტიურისტების მოქმედებას. მიღებული იქნა შემდეგი შინაარსის რეზოლიუცია: კავშირი გაკრეჭილ მღვდლებთან, მამულებ ჩამორთმეულ ყოფილ თავად-აზნაურებთან და საბჭოთა ხელისუფლებით უკმაყოფილო ათასგვარ ელემენტებთან საბოლოოდ უკარგავს მენშევიკებს საქართველოს მშრომელებში გავლენას. ამ უკანასკნელმა გამოსვლებმა საბოლოოდ გამოააშკარავა ამ ვაჟბატონების იდეური სიკოტრე. ამის შემდეგ ისინი ველარ შესძლებენ ჩვენში თავისი აზრების მოხერხებულად განაღდებას.

ჩვენ, პირველ ლეგიონის პირველ ტყვიამფრქვევ გუნდის წითელი მოლაშქრეები, ერთხმად მოვითხოვთ ბანდიტების სასტიკად დასჯას. არავითარი ლმობიერება ამ მტარვალების მიმართ. „კუზიანებს მხოლოდ სამარე გაასწორებს“.

ჩვენ მზადა ვართ ჩვენი მთავრობის პირველ დაძახილისთანავე თავი შევსწიროთ მუშათა სისხლით მოპოვებულ თავისუფლების დაცვას.

ზიზღი ჯალათ—ავანტიურისტებს!

გაუმარჯოს მუშურ გლეხურ საბჭოთა ხელისუფლებას.

ახალი მეთაურები შვებულებაში.

ამ დღეებში მოხდა ახალი წითელი მეთაურების გამოშვება. ამხანაგები უკვე დანაწილებული არიან ქართული ჯარის ნაწილებში და რამოდენიმე ხნის შემდეგ გაემგზავრებიან თავისი მოვალეობის შესასრულებლად.

ჯერ-ჯერობით კი ამხანაგებს მიეცათ ორ-ორი კვირის შვებულება თავ-თავიანთ სოფლებში გასამგზავრებლად. მეტად დიდი მნიშვნელობა აქვს ამ ფაქტს ჩვენი სოფლებისათვის. დღეს ღარიბი გლეხის ოჯახს მოევლინება წითელი კომანდირი, რომელზედაც დამოკიდებული იქნება წითელი ჯარის აღმშენებლობითი საქმე.

საბჭოთა ხელისუფლების დროს პირველად შეიქნა შესაძლებელი მშრომელი ხალხის შვილებისათვის შესაფერი განვითარებისა და ცოდნის მიცემა.

შვებულებაში მიმავალ ახალ მეთაურებს დიდი საქმე აქვთ გასაკეთებელი. მათ ორი კვირის განმავლობაში ბევრი რამე უნდა გადასცენ გლეხებს, შეაგნებიონ, გააცნონ ხალხს თუ რის გაკეთებას სცდილობს და ვის ინტერესებს იცავს საბჭოთა ხელისუფლება.

ახალი, ღარიბი გლეხის ოჯახიდან გამოსული წითელი მეთაურები საუკეთესო საშვალებაა ამ მიზნის მისაღწევად. ამისთვის მათ ხელს უწყობს თავისი მდგომარეობა. მათ უნდა აუხსნან სოფლის მშრომელ გლეხობას, რომ საბჭოთა ხელისუფლებას მხოლოდ მათსავით ღარიბი ოჯახებიდან გამოსული მეთაურები ესაჭიროება და ამისთვის ის ეწევა დიდ შრომას. მხოლოდ ასეთ ღარიბი წრიდან გამოსულებს შეუძლიათ დაიცვან მუშურ გლეხური მთავრობა და ეს უკანასკნელი კი მშრომელთა ინტერესების გამომხატველი და საუკეთესო დამცველია.

გაუმარჯოს ახალ-წითელ მეთაურებს, რომლებიც მიემგზავრებიან სოფლებში და გააცნობენ გლეხებს მუშურ-გლეხურ ხელისუფლების მნიშვნელობას.

ვ. ბერიძე.

ჩვენი მუშაობა სოფლად.

წერილი მესამე ლეგიონიდან.

მესამე ლეგიონს თავის მზრუნველობის ქვეშ ყავს აყვანილი სოფ. უფლისციხე.

აღსანიშნავია ის გულმოდგინეობა და ყურადღება, რომელსაც იჩენენ ჩვენი ლეგიონის არმიელები აღნიშნულ სოფლის გლეხებისადმი.

სოფელში არ იყო სამკითხველო და ნაკლები ყურადღება ექცეოდა ყოველგვარ კულტურულ საქმიანობას.

ჩვენი ლეგიონის მზრუნველობამ უფლისციხეზე კი ძირეულად შესცვალა მდგომარეობა.

სოფელში დავაარსეთ სამკითხველო, გამოუწერეთ ჟურნალ-გაზეთები და ხშირად ვაწყობთ გლეხებში საუბარს სხვა და სხვა საჭირბოროტო საკითხებზე.

ამას წინად ჩვენმა არმიელებმა რამოდენიმეჯერ გამართეს საუბარი საჰაერო ფლოტის მნიშვნელობის შესახებ, რამაც ძლიერ ასიამოვნა გლეხები.

მაგრამ მთავარი ის არის, რომ ჩვენი საქმიანობა არ განისაზღვრება გლეხებთან მარტო კულტურულ ფრონტზე მოქმედებით.

ჩვენ დახმარებას უწევთ გლეხებს სხვა საქმეებშიაც

ვეხმარებით სასოფლო გზების გაყვანაში და სხვა.

ამას წინად ჩვენმა არმიელებმა გლეხებთან ერთად გაიყვანეს სამასი საჟენის მანძილზე მშვენიერი გზა.

გლეხების სიხარულს საზღვარი არა აქვს, როდესაც ხედავენ ჩვენი არმიელების ასეთ საქციელს და ყოველ წუთს გაიძახიან: „თქვენი გამჩენის ჭირიმე, თქვენი.

— დაილოცოს ის მთავრობა, რომელი მთავრობაც გეუბნებათ წადით და საწყალ გლეხკაცობას მოეხმარეთო“.

კუ.

კულტ-განმანათლებელი მუშაობა საარტილერიო პარკში.

მენშევიკ-ბანდიტების გამოსვლების დროს, როდესაც ჩვენი ნაწილის წითელი არმიელები ფხიზლად იდგნენ მუშურ-გლეხური ხელისუფლების სადარაჯოზე, კულტურული მუშაობა ჩვენთან უდროობის გამო შეჩერებულ იქნა.

ამ ჟამად, ბანდიტების ლიკვიდაციის შემდეგ, კვლავ გაჩაღდა მუშაობა ყველა წრეებში. იმართება კრებები ბანდიტების გამოსვლების შესახებ, საერთაშორისო ახალგაზრდათა დღესასწაულის შესახებ და საუბრები სხვა და სხვა საკითხების გარშემო.

სასკოლო მეცადინეობაც ჩინებულად მიდის.

ახლო მომავალში გამოვიდა კედლის გაზეთი „ყუმბარის ნატეხი“-ს მორიგი ნომერი, რომელშიდაც წითელი არმიელები გმობენ მენშევიკების სამარცხვინო საქციელს.

ერთი სიტყვით, საერთოდ პარკში საქმე ძლიერ კარგად არის დაყენებული.

სამხკორი **ჩხ—შვილი.**

სრული სიწყნარეა.

საფრანგეთის სამხედრო სამინისტრო ოფიციალურად აცხადებს, რომ არავითარი ბრძოლები არ არსებობს საფრანგეთის ფრონტზე მაროკოშიო. იქ სრული სიწყნარე სუფევსო.

იტალია და ეგვიპტე.

იტალიის მიერ ეგვიპტეზე წარდგენილ მოთხოვნილებათა შესახებ, ეგვიპტის პრესა გამოსთქვამს აზრს, რომ იტალიელები მოქმედებენ ინგლისელებთან შეთანხმებით: მათ სურთ როგორც არ უნდა დაუჯდეთ დააწესონ ბრიტანეთის ძალაუფლება სუდანში.

ამზადებენ განიარაღებას.

ვარშავაში ჩამოვიდა საფრანგეთის სამხედრო მისია პოლონეთის სამხედრო სასწავლებლებისა და საგარნიზონო ჯარის ნაწილების დასათვალიერებლად.

გერმანიის ფაშისტები.

ფაშისტური ორგანიზაციის „სტალნოი შლემი“-ს წევრებმა დესაუში (გერმანიაში) თავს დაესხენ რესპუბლიკანელებს, რომელთაც ჩამოგლიჯეს „კაკარდები.“ შეტაკება დამთავრდა დიდი მუშტი-კრივით.

მოსული.

ოსმალეთის დელეგაციამ გადასცა ჟენევაში ერთა ლიგის საბჭოს მემორანდუმი, რომელშიაც აცხადებს, რომ საჭიროა დაცულ იქნას ოსმალეთის მფარველობა მოსულზეო.

მემორანდუმი მოითხოვს აგრეთვე პლებ-სციტს (მცხოვრებთა დაკითხვას) მოსულში.

ბალკანეთში.

ათინიდან მიღებულ ცნობით ბულგარელი ბანდები თავს დაესხენ სანაპირო სოფლებს ფრაკიაში. ბანდებმა გაიტაცეს 20 სოფლელი და მოჰკლეს სამი.

მუსოლინის მოთმინება

მუსოლინიმ სიტყვა წარმოსთქვა ნეაპოლში, რომელშიდაც სხვათა შორის განაცხადა:

— ჩვენ არ ვსცდილობთ ვაიძულოთ ვისმეს იფიქროს ისე, როგორც ჩვენ ვფიქრობთ, მაგრამ ჩვენ ნებას არ მივცემთ არავის იმოქმედოს ჩვენს წინააღმდეგ.

ბოლოს მუსოლინიმ მოითხოვა ყველასაგან ფიცი, რომ ისინი ემსახურებიან სახელმწიფოს თავიანთი შრომით.

მეორე დივიზ. ცალკე მესანგრე ასეულის გაცილება.

1-ლ დივიზიის ცალკე მესანგრე ასეულთან ერთად საბანაკო დროის განმავლობაში იმყოფებოდა მეორე დივიზიის ცალკე ასეულიც. აწარმოებდენ, როგორც კულტ-პოლიტ-მეცადინეობას ისე სპეციალურს.

ასეულებს ერთმანეთ შორის კარგი განწყობილება ჰქონდათ.

მთელი საბანაკო პერიოდში ამ ასეულების წითელ არმიელთა შორის ოდნავ უკმაყოფილებას არ ქონია ადგილი.

უფრ პოლიტ-შემადგენლობის კავშირი ამხანაგური იყო წითელ არმიელებთან.

12 სექტემბერს მეორე დივიზიის მესანგრე ასეული გაემგზავრა ქ. ქუთაისში.

სადგურში მატარებლის მოსვლამდის გაიმართა ცეკვა-თამაში, დაესწრენ ადგილობრივი გლეხობაც, რომლებმაც მხურვალე მონაწილეობა მიიღეს ამ მხიარულებაში.

აგერ მატარებელიც მოვიდა. ყველა ეთხოვებიან ერთმანეთს. როგორც წითელი არმიელები, ისე პოლიტ-შემადგენლობა.

დაიძრა მატარებელი და გაისმის „ვაშა-“ს ძახილი. ჩვენს წითელ მე-

სანგრეებს გული დასწყდათ ასეთი შეჩვეული ამხანაგების დაცილების გამო.

რამოდენიმე წითელ არმიელებმა დოლით და ზურნით გააცილეს ამხანაგები მეორე სადგურამდე.

მეორე დივიზიის ცალკე მესანგრე ასეულის წითელ არმიელებს და უფ-პოლიტ-შემადგენლობას უსურვებთ გამარჯვებას.

ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ ისინი ჩვენთან ერთად იქნებიან ჭირში და ლხინშიც, რითაც შევძლებთ ყველა საბჭოთა ხელისუფლების მტრების ადვილად დამარცხებას.

სამხკორი: ვ. ნუცუბიძე.

სანიტ საათები მესამე ტერ ლეგიონში.

ქართული მესამე ლეგიონი დიდი ხანი არ არის, რაც ჩამოყალიბდა. ამ ხნის განმავლობაში ბევრი რამ გვაკლდა, ბევრს შეგნებულად ვერ ექცეოდა სათანადო ყურადღება, რადგანაც ლეგიონს არ ყავს ამისათვის საჭირო ძალები. თითქმის ასეთივე მდგომარეობაში იყო ჩვენთან სანიტარული საათების საქმე, მაგრამ ამ ბოლო ხანებში ლეგიონში თანდათან გამოკეთდა მდგომარეობა და სანიტარული საათების ჩატარებაც დაიწყო.

პირველი ლექცია – საუბარი სანიტარიის მნიშვნელობის შესახებ 8 სექტემბერს წაიკითხა ლეგიონის უფროსმა ექიმმა.

წითელ არმიელები დიდი ყურადღებით ისმენდენ ექიმის მოხსენებას, რომელიც წაკითხული იქნა მეტად გასაგებ ენით. ჩვენ უსურვებთ უფროს ექიმს ამ მიმართულებით დაწყებული მუშაობა არ შეეფერხებიოს და ჩვენი მხრივ კი აღუთქვამთ, რომ სისტემატიურად დავესწრებით მის საუბრებს, რომელიც დიდ კმაყოფილებას იწვევს არმიელებში.

ი. სანებლიძე.

რაზედ ვწერენ

საექიმო დახმარებაც ასეთი უნდა.

ამ რამოდენიმე დღის წინად ჩემი ჯანმრთელობა შეამოწმა დივიზიის ლაზარეთის ექიმ მეეროვიჩმა. აღმომაჩნდა ძლიერი სისხლნაკლულობა, რისთვისაც გამომიწერა კანქვეშ შესაშხაპუნებელი დარიშხანი.

წამალი გამოვიტანე ამავე ლაზარეთის აფთიაქიდან და უნდა დამეწყო ნემსების კეთება მეორე ლეგიონის ექიმთან, მაგრამ წამალი აღმოჩნდა არა წამალი, არამედ რაღაც უბრალო.

ამნაირად ექიმმა უარი განაცხადა მის შეშხაპუნებაზე. მე კიდევ არ დაუჯერე მას და წამალი სხვა ექიმებსაც ვაჩვენე, რომელიც ყველამ უვარგისად შეამოწმა. წამალი მეტად ჭუჭყიანი იყო.

მეც იძულებული შევიქენი დამეჯერებია ექიმებისათვის.

შეძლება ხელს არ მიწყობს, რომ წამალი კერძოთ დავამზადებიო. ლაზარეთის აფთიაქში კი მეორედ მისვლა ვერ გამიბედავს, სულ ერთია კარგ წამალს არც ეხლა მომცემენ. ვაცხადებ რა ყოველივე ამას, სრული დარწმუნებული ვარ ჯეროვანი ყურადღება მიექცევა ამ ბოროტმოქმედებას და სათანადო პასუხი მოეთხოვება დამნაშავეს.

წამალი ამ ჟამად შენახული მაქვს და თუ საჭიროება მოითხოვს, შემიძლია წარვადგინო მოთხოვნილებისამებრ.

მეორე ლეგ. თანამშრომელი

ი. ჯაფარიძე.

საჭიროა ახალი პარიკმახერები.

ქართულ გაერთიანებულ მეთაურთა სკოლის საპარიკმახეროში მსახურობენ სამი პარიკმახერები. სამივე ერთის საქმეს ვერ ასრულებენ, ძლიერ გულგრილად ეკიდებიან თავის მოვალეობას.

ამ ბოლო ხანებში პარიკმახერები რაღაც უკმაყოფილოთ გრძნობენ თავს ჩვენთან ყოფნით. სკოლა კი მათ ჯერ-ჯერობით არ უშვებს. ამას მოყვა ის, რომ პარიკმახერები არ მუშაობენ. დიდი ხვეწნაა საჭირო რომ დავითანხმოთ და თავისი საქმე შევასრულებიოთ.

საჭიროა ეს უკმაყოფილო ხალხი გაშვებულ იქნან სკოლიდან და მათ მაგიერ მოვიწვიოთ ახლები, რომლებიც პირნათლად შეასრულებენ თავის მოვალეობას, თორემ სულ ერთია, ისინი მაინც არაფერს აკეთებენ.

ტე-ტე.

შეისწავლეთ სამხედრო ქიმია.

ცრემლის მომგვრელი აირი.

წინა წერილში ჩვენ დავასახელეთ ცრემლის მომგვრელი აირი „ლაკრიმატორი“ დ აღვნიშნეთ მისი მოქმედება ადამიანზე. აღნიშნული იყო აგრეთვე თუ რა და რა აირისაგან შესდგებოდა „ლაკრიმატორი“. ერთი ასეთი აირთაგანია ბრომ-აცეტონი. ეს აირი იმპერიალისტურ ომამდეც იყო ცნობილი და ხმარებაში შემოღებული. ამერიკის კოლონიებში, მაგალითად, ბრომ-აცეტონს აჯანყებულ მონების და საფრანგეთში გაფიცულ მუშების წინააღმდეგ ხმარობდენ.

წმინდა ბრომ-აცეტონი წარმოადგენს უფერულ სითხეს და გამჭვირვალეა, როგორც ანკარა წყალი. ის მოქმედებს ძალიან ცუდათ განსაკუთრებით თვალებზე. თავდასაცავი საშუალება ბრომ-აცეტონისაგან მხოლოდ მცირე ხნის განმავლობაში იცავს ადამიანს.

წმინდა ბრომ აცეტონს თითქმის არ ხმარობენ, რადგან მისი დამუშავება ძალიან ძნელია. მაგრამ შეზავებული სხვა აირებში ბრომ-აცეტონი მაინც დიდად მოქმედებს თვალებზე. ომში ამ აირით ტენიან არტილერიის ჭურვებს და ხელით სასროლ ყუმბარებს.

აირი ბრომ-აცეტონი ჰაერში საგრძნობლად კარგავს თავის მომწამვლელ თვისებას. ამით მოწამლული თვალი ძალიან ადრე რჩება.

ყველა სხვა ლაკრიმატორები უმეტეს შემთხვევაში წარმოადგენენ სითხეს და მოქმედებენ ადამიანზე ბრომ-აცეტონის მზგავსად, რასაკვირველია, სხვა და სხვა სიძლიერით. ყველაზე უფრო ძლიერი ლაკრიმატორებთა შორის არის ერთი ნივთიერება, რომელსაც ქიმიაში უწოდებენ ციანბრომ-ბენზილოს. ეს ნივთიერება არამც თუ ძლიერ მოქმედებს თვალებზე, არამედ კიდევაც სწამლავს ადამიანს.

ამ ჟამად გამოგონილია აირისაგან თავდასაცავი საშუალება, რომელიც კარგად იცავს ლაკრიმატორებისაგან ადამიანს, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ლაკრიმატორი მაინც დარჩება ხმარებაში მომავალ ომში, რადგან მტრის რაიონში გამოშვებული ლაკრიმატორის დიდი ნაწილი იძულებულებს ხდის ჯარის კაცს დიდ ხანს ატაროს პირზე ჩამოსაცმელი ნიღაბი, რაც უსათუოდ ღლის მეომარს.

ამის გარდა ჰაერის მოსაწამლავად ლაკრიმატორი, შედარებით სხვა მხრჩოლავ აირებთან, იხარჯება ნაკლები.

X.

სამხედრო ტრიბუნალში.

ობოლი დეზერტირი.

16 სექტემბერს სამხედრო ტრიბუნალში ამხ. დ. ხიხაძის თავმჯდომარეობით და გოგიჩაიშვილის და გაბუნიას კოლეგიის წევრობით გაირჩა ახალწვეულ შალვა ანტონაშვილის საქმე.

ბრალდებული ანტონაშვილი მცირე განათლების კაცია, 22 წლის, სოფ. მუხრანიდან.

ამა წლის 4 ივნისს ანტონაშვილი მიღებულ იქნა ჯარში, როგორც ახალწვეული. იმის მაგიერ, რომ იგი წასულიყო სამხედრო ბეგარის მოსახდელად დანიშნულ ნაწილში, იგი მიმღებ პუნქტიდანვე იპარება სახლში და რჩება იქ ორ თვეზე მეტს. დაახლოებით ორი თვის შემდეგ ე. ი. 13 აგვისტოს იგი შეპყრობილ იქნა.

სასამართლოში მან ახსნა აღნიშნული დანაშაულის ჩადენა იმით, რომ ობოლი ვარ და ჩემს ოჯახში ჩემს მეტი არავინ არის". სთქვა აგრეთვე, რომ მას სურდა ბეგარა მოეხდინა ადგილობრივ, ტერიტორიალურ ლეგიონში.

ტრიბუნალმა მას მიუსაჯა დეზერტირობისათვის ოთხი თვით საჯარიმო გუნდში მოთავსება და ორასი მანეთის ჯარიმა, მაგრამ მიიღეს რა მხედველობაში ბრალდებულის ქონებრივი მდგომარეობა და თანახმად ს. ს. კ. 28 მუხლისა ჯარიმა შეუმცირდა 50 მანეთამდე საჯარიმო გუნდში მოთავსების ძალაში დატოვებით.

დ.

ახალი ამბები.

— სამხ. ტრიბუნალში. დღეს, 18 სექტემბერს გაირჩევა ცხენ. ლეგიონის წით. არმ. სიკო ჯაშიაშვილის და ალექსანდრე ბოყვიშვილის საქმე. პირველს ბრალდება დეზერტირობა და მეორეს დეზერტირობა და სახაზინო ქონების გაფლანგვა.

— საქმის გადადება. 16 სექტემბერს დანიშნული დავით მურადოვის საქმე გადაიდო 6 ოქტომბრისათვის, მოწმების გამოუცხადებლობის გამო.

— ამხ. კამოს ძეგლი. პუშკინის ბაღში უკვე დაიწყო მუშაობა კამოს ძეგლის კვარცხლბეკის გვერდებზე სურათების ამოსაჭრელათ:

— საიჯარო ქირა სოფლათ მოვაჭრეებზე. შორაპნის სამაზრო აღმასკომმა გამოიმუშავა საიჯარო ქირა მაზრის სოფლებში მოვაჭრეთათვის.

— ახალქალაქის აღდგენა. ქალ. ახალქალაქის აღმდგენმა კომიტეტმა გამოაცხადა, რომ იმ მეპატრონეს, რომელიც არ დაიწყებს ახალი სახლის შენების ძველის ნანგრევზე 1925 წ. მაისამდე ჩამოერთმევა ეს ადგილები.

— უცოდინარობის ლიკვიდაცია. ტფილისის პოლიტგანაოლებას განზრახული აქვს ტფილისში და მის მაზრაში ყოველ წლიურათ წერა-კითხვა შეასწავლოს ათას კაცს.

— კინო-საქმე ამიერ-კავკასიაში. ა. კ. სახელმწიფო ვაჭრობის კომისარიატთან მოხდა თათბირი, რომელმაც დაადგინა დაარსდეს ერთი ორგანიზაცია, რომელიც მოაგვარებს კინო-საქმეს ა. კ. ფედერაციაში.

— კოოპერატიული დაზღვევა. წარმო-კავშირმა განიზრახა ჩაატაროს გლეხობაში სათანადო საიგიტაციო კომპანია კოოპერატიული დაზღვევის შესახებ.

— ჩაის პლანტაციები. მიწად მოქმ. კომ. ცნობით მთელ საქართველოში ჩაის პლანტაციების სივრცე უდრის 1.090 დესეტინას.

— მუშათა წარმოდგენები. საქ. პროფ-კავშირთა საბჭოს განზრახული აქვს იშუამდგომლოს ქართული დრამის წინაშე, რათა კვირაში დრამამ ორჯერ გამართოს მუშებისათვის წარმოდგენები.

შემთხვევები.

— ცეცხლი მესანგრეთა კოოპერატივში. 16 სექტემბერს, საღამოს 8 საათზე, მესანგრე ასეულის კოოპერატივს გაუჩნდა ცეცხლი, რომელიც საჩქარით იქნა ჩაქრობილი.

— ნიაღვარისაგან გატაცებული. 16 სექტემბერს ნიაღვრისაგან გატაცებული გლავარსკი თავის ცხენებიანათ გადარჩენილა, მხოლოთ ფურგუნი დაიკარგა.

ცირკულიარი № 4.

ქართული დივიზიის მთლიანი მომხმარებელი კოოპერატივის ნაწილების დახურულ დუქნების მეთვალყურე კომისიებს!

ამხანაგებო! ქართული დივიზიის მთლიანი მომხმარებელი კოოპერატივის—„ევკოგრუზის“ მესამე რწმუნებულთა ყრილობამ აირჩია თუ არა ახალი სარევიზიო კომისია, ამ უკანასკნელმა იმ თავითვე მოგიწოდათ თქვენ დაგეჭირათ მასთან მჭიდრო კავშირი და თავის დროზედ გეცნობებიათ მისთვის თქვენ მიერ შემჩნეული დეფექტები, რომელსაც ადგილი აქვს და ექნებოდა ჩვენ დახურულ დუქნებში. მაგრამ დღემდე ეს არ მომხდარა. მართალია დუქნებში დეფექტები საგრძნობლად შემცირდა, მაგრამ კიდევ დარჩა ისეთი დუქნები, სადაც არ არის აღმოფხვრილი ყველა ის შეცდომები, რომელსაც ადრიანად მოელებოდა ბოლო, თუ ეს არ მოხდა ამის უმთავრესი მიზეზია ის, რომ თქვენ არ გვაწვდით სისტემატიურად ცნობებს თქვენი დუქნების მდგომარეობის შესახებ.

ვინაიდან სარევიზიო კომისიას არ აქვს საშუალება, რომ ყოველ ფეხის გადადგმაზე თვალყური ადევნოს პირველ დაწყებითი კოოპერატივებს, ამიტომ სარევიზიო კომისია განმეორებით გავალებთ, რათა სისტემატიურათ მოგვაწოდოთ თქვენ მიერ შემჩნეული დეფექტები, რომ საშვალება მოგვეცეს თავის დროზედ მივაქციოთ სათანადო ყურადღება, წინააღმდეგ შემთხვევაში სარევიზიო კომისია ვერ შესძლებს ღირსეულად შეასრულოს თავის მოვალეობა, რაც საქმეს დიდ ზარალს მიაყენებს.

სარევიზიო კომისიის თავმჯდომარე: **ჩანტლაძე.**

სარევიზიო კომ. წევრი-მდივანი: **ელ. კალანდაძე.**

განცხადება.

ტფილისის პირველი „ოქტომბრის რევოლიუციის“ სახელობი მაღალ ტიპის სკოლაში შესასვლელად განცხადებების მიღება იწარმოებს 23 ენკენისთვემდის, ხოლო გამოცდები დაიწყება 25 ენკენისთვეს.

თხოვნები მიიღება სკოლის კანცელიარიაში ყოველ დღე საღ.-5—7 საათ.

მისამართი: ანდრეევის ქუჩა № 42.

სკოლაში მსმენელთა მიღების პირობები.

1. სკოლაში შესვლის უფლება აქვს ყველა მუშას, გლეხს, წითელ არმიელს და საბჭოთა მოსამსახურეს, რომელიც წლოვანებით არის არა ნაკლები 18 წლისა, იცის თავისუფლად წერა-კითხვა და აქვს შეთვისებული ანგარიშის ოთხი მოქმედება.
2. პირველ რიგში მიიღებიან ის პირნი, რომელნიც გამოიგზავნებიან პროფ—და პარტ-ორგანიზაციებიდან.
3. მეცადინეობის ვადა განსაზღვრულია ორი წლით.
4. თუ შესაფერი პირობები შეიქმნა, შეიძლება მესამე დამატებითი წლის კურსის შემოღება, რომლის დამთავრების შემდეგ მსმენელს ეძლევა 9 წლის შრომის სკოლის კურსის დამთავრებულის თანაბრად უმაღლეს სასწავლებელში შესვლის უფლება.

ნ. დ. ს. ც. ტირაჟი 1.500 სამხედრო სტამბა კეცხოველის ქ. 3. პასუხ-სმგებელი რედაქტორი—ვ. ჩუაჩიძე